სოციალურად გამოწვეული და თანატოლთა აკადემიური პროკრასტინაცია, მათი კავშირი ერთმანეთთან და დისპოზიციურ პროკრასტინაციასთან

მარიამ მენაფირე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ხელმძღვანელი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
რუსუდან მირცხულავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

,,როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ მენაფირე

18.06.2021

აბსტრაქტი

არის კი პროკრასტინაცია ყოველთვის ჩვენი ბრალი? საქმის სამომავლოდ გადადება ყოველთვის მხოლოდ ჩვენს პიროვნულ მახასიათებლებზე როდია დამოკიდებული. ისევე როგორც ბევრ სხვა საკითხში აქაც, გარემო და პიროვნული ფაქტორების ერთობლივი კომბინაცია ახდენს ჩვენს მიერ პროკრასტინაციული ქცევის განხორციელების შესაძლებლობაზე გავლენას. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს აჩვენოს თანატოლებსა და სასწავლო გარემოში არსებული აკადემიური პროკრასტინაციის კავშირი დისპოზიციურ პროკრასტინაციასთან. სამიზნე ჯგუფად შერჩეულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის სტუდენტთა ჯგუფი. კვლევის მონაწილეები გამოიკითხნენ სამი კითხვარის მეშვეობით, სადაც საკუთარი პერსპექტივიდან შეაფასეს სოციალურად გამოწვეული, თანატოლთა და დისპოზიციური აკადემიური პროკრასტინაცია. ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, მთლიანი შერჩევის გათვალისწინებით, სამივე ცვლადისათვის მიღებული ქულების საშუალო, საშუალო სახის აკადემიურ პროკრასტინაციას გვიჩვენებს. სტუდენტების დისპოზიციური პროკრასტინაციისა და სოციალურად გამოწვეული აკადემიური პროკრასტინაციის მაჩვენებლებს შორის კი კორელაციური კავშირი ზომიერი და დადებითია. ზომიერი, დადებითი კორელაცია შეინიშნება სოციალურად გამოწვეულ და თანატოლთა აკადემიური პროკრასტინაციის მაჩვენებლებს შორისაც. ასევე, მონაწილეთა დისპოზიციურ და თანატოლთა აკადემიური პროკრასტინაციის მაჩვენებლებს შორის დადებითი და ზომიერი კორელაციური კავშირი გამოვლინდა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აკადემიური პროკრასტინაცია, დისპოზიციური პროკრასტინაცია, თანატოლთა პროკრასტინაცია, სოციალურად გამოწვეული პროკრასტინაცია.

Abstract

Is procrastination always our fault? Delaying things does not always depend on our personal characteristics. As in many topics, here as well, dispositional and environmental factors have a combined influence on a chance of us implementing procrastinating behavior. The main purpose of this study is to show connection between peer, environmental and dispositional procrastination in Georgian students. Current study focuses on academic procrastination and tendencies of individual's nearest study or peer environment. As a target group for this study is selected every Ilia State University student, regardless of their study program and year. For this research, it is immensely important to show relationship between variables mentioned above in Georgian reality. Participants were surveyed with three types of questionnaires, where they, from their point of view, rated socially induced, peer and dispositional academic procrastination. Conducted quantitative study results show, that, for the whole sample, means of all three variables show moderate academic procrastination rate. And there is moderate, positive correlation between dispositional and socially induced academic procrastination, between socially induced and peer academic procrastination as well as, between dispositional and peer academic procrastination. Therefore, social and environmental factors require more attention while researching academic procrastination.

Key words: Academic procrastination, peer procrastination, dispositional procrastination impact of learning environment, socially induced academic procrastination, Georgian students.